



საჩუქრეთა წიგნი

სახელმწიფო აუდიტის სამსახური



სახელმწიფო აუდიტის სამსახური

სარეკომენდაციო წერილი

საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის
სამინისტროს ხელმძღვანელობას

საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და
ახალგაზრდობის სამინისტროს 2023 წლის 31
დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო
პერიოდისთვის კონსოლიდირებული ფინანსური
აუდიტი

საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის
მინისტრის მოადგილეს
ბატონ გიორგი ჯინჭარაძეს

ბატონო გიორგი,

მოგესხენებათ, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული პერიოდისთვის მომზადებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შედეგად გაიცა პირობითი დასკვნა.

აუდიტი ჩატარდა უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI) შესაბამისად.

აუდიტის შედეგად გამოვლენილი ნაკლოვანებების საპასუხოდ, წარმოგიდგენთ ჩვენს რეკომენდაციებს და ხელმძღვანელობისთვის მნიშვნელოვან სხვა ინფორმაციას.

მიმდინარე აუდიტის ფარგლებში და წინა პერიოდის აუდიტების შედეგად გაცემულ რეკომენდაციებზე რეაგირების შედეგები ასახულია სახელმწიფო აუდიტის სამსახურის რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგის სისტემაში – ARIS (www.aris.sao.ge).

პატივისცემით,

ზაზა შეყილაძე

გენერალური აუდიტორის მოადგილე

ტერმინები და შემოკლებები	2
1. რეკომენდაციები	3
2. ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებული კორექტირებები	9
3. წინა პერიოდში გაცემული რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობა ..	14
საკონტაქტო ინფორმაცია	17

ტერმინები და შემოკლებები

აღრიცხვის ინსტრუქცია – „საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (სსბასს-ების) საფუძველზე ფინანსური აღრიცხვა-ანგარიშგების წარმოების შესახებ“ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 5 მაისის №108 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქცია.

გორის უნივერსიტეტი – სსიპ – გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

თსუ – სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

სამინისტრო – საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო.

სააგენტო – სსიპ – საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო.

სსბასს – საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტები (IPSAS).

სოხუმის უნივერსიტეტი – სსიპ – სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

ტექნიკური უნივერსიტეტი – სსიპ – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი.

უნარების სააგენტო – სსიპ – პროფესიული უნარების სააგენტო.

ფონდი – სსიპ – შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი.

1. რეკომენდაციები

1.1 ფინანსური ანგარიშგება

აუდიტის მიგნება

თსუ-ის და გორის უნივერსიტეტის მიერ სააღრიცხვო ჩანაწერებისთვის გამოიყენება პროგრამა MS Excel,¹ რაც ზრდის ადამიანური ფაქტორებით გამოწვეული შეცდომების, ასევე ინფორმაციის დაცვასა და შენახვასთან დაკავშირებულ რისკებს, არსებული ფაილების დამუშავება კი, მოითხოვს დიდ დროით და ადამიანურ რესურსს.

თსუ-ისა და გორის უნივერსიტეტის 2023 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია შემდეგი თანხები:

ცხრილი №1. ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხები

საანგარიშგებო პერიოდის საბოლოო ნაშთი და სულ
საანგარიშგებო პერიოდის ბრუნვა

დასახელება	თსუ	გორის უნივერსიტეტი
აქტივები	437 982 487	10 703 094
ვალდებულებები	24 066 795	338 726
კაპიტალი	413 915 692	10 364 368
შემოსავლები	269 234 035	5 840 945
ხარჯები	106 146 757	5 923 524

მიზეზი

აღრიცხვის არასათანდო პრაქტიკა, კონტროლის ნაკლოვანება.

გავლენა

შედეგად, ჩვენ ვერ მოვიპოვეთ რწმუნება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის და გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების არსებობაზე, წარმომოხაზე, სისრულესა და სისწორეზე.

რეკომენდაცია

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით სამინისტროს 2022 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ფარგლებში მიეცათ რეკომენდაცია, რომლის შესრულების სტატუსია: ნაწილობრივ შესრულებული (იხ. თავი 3.). წინა პერიოდში გაცემული რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობა: რეკომენდაცია №1 და №3.

კომპონენტ(ებ)ი, რომელზეც

გაიცა რეკომენდაცია

შესასრულებლად

თსუ და გორის უნივერსიტეტი.

1.2 შიდაჯგუფური ოპერაციები

აუდიტის მიგნება

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ელიმინირებული უნდა იყოს შიდაჯგუფური შემოსავლები და ხარჯები, რომლებიც დაკავშირებულია ეკონომიკურ ერთეულში შემავალ ერთეულთა შორის განხორციელებულ ოპერაციებთან.² არ არის ელიმინირებული 2023 წლამდე გადარიცხული თანხების შედეგად წარმოქმნილი ოპერაციები:

¹ 2023 წელს სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა №760/06 ხელშეკრულებით შეიძინა „ორისის“ პროგრამული პროდუქტის ლიცენზია, ხოლო გორის უნივერსიტეტმა 2024 წლის ივნისში №124 ხელშეკრულებით შეიძინა პროგრამული უზრუნველყოფა.

² სსპას 35, მუხლი 40.

- **სააგენტოსა** და სამინისტროს კონტროლს დაქვემდებარებულ ორგანიზაციებს შორის განხორციელებული ოპერაციები, სულ – 7 873 112 ლარი;
- **ფონდსა** და სამინისტროს კონტროლს დაქვემდებარებულ ორგანიზაციებს შორის განხორციელებული ოპერაციები, სულ – 9 036 031 ლარი;
- **უნარების სააგენტოსა** და სამინისტროს კონტროლს დაქვემდებარებულ ორგანიზაციებს შორის განხორციელებული ოპერაციები, სულ – 2 544 071 ლარი.

ამასთანავე, სამინისტროს მიერ ელიმინირებული თანხებიდან არაფულადი მუხლებით ოპერაციების შედეგად ელიმინირებულია 150 190 072 ლარი. წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, გაცემული და მიღებული აქტივების შესახებ ინფორმაცია ერთმანეთს არ შეესაბამება. სამინისტროს განმარტებით, ელიმინირებულია უმცირესი თანხა. იმის გამო, რომ აქტივების მიმღები-გამცემის აღრიცხვისას ფიქსირდება კლასიფიკაციაში სხვაობები, ელიმინაციის სირთულიდან გამომდინარე, კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში შეცვლილია კლასიფიკაცია შემდეგი მუხლებისთვის: წარმოდგენილია ნაკლებობით „მატერიალური მარაგები“ – 20 541 352 ლარი და „ძირითადი აქტივები“ – 75 613 881 ლარი, ხოლო „სხვა გრძელვადიანი არაფინანსური აქტივები“ წარმოდგენილია მეტობით – 96 155 233 ლარით. აღნიშნული ინფორმაცია ასევე ასახულია სამინისტროს ახსნა-განმარტებით შენიშვნებში.

მიუხედავად არსებული ნაკლოვანებებისა, აღსანიშნავია, რომ ფინანსური აღრიცხვის გაუმჯობესების მიზნით სამინისტრომ 2023 წელს ელიმინირებული თანხების იდენტიფიცირებისთვის გაატარა მნიშვნელოვანი ღონისძიებები³ და ელიმინირებულია როგორც ფულადი, ისე არაფულადი მუხლებით წარმოქმნილი ოპერაციების მნიშვნელოვანი ნაწილი, სულ – 1 403 471 332 ლარი.

კონტროლის სისუსტე.

მიზეზი

გავლენა

შედეგად, 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარდგენილ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში გაზრდილია ხარჯი და შემოსავალი, სულ – 19 453 214 ლარით.

რეკომენდაცია

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით სამინისტროს 2022 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ფარგლებში გაიცა რეკომენდაცია, რომლის შესრულების სტატუსია: ნაწილობრივ შესრულებული (იხ. თავი 3). წინა პერიოდში გაცემული რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობა: რეკომენდაცია №4.

კომპონენტ(ებ)ი, რომელზეც

გაიცა რეკომენდაცია

შესასრულებლად

საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს ცენტრალური აპარატი.

1.3 სწავლის გადასახადიდან წარმოქმნილი მოთხოვნა, ვალდებულება, ხარჯი და შემოსავალი

აუდიტის მიგნება

უნივერსიტეტები სწავლის გადასახადის ოპერაციების აღრიცხვისთვის იყენებენ განსხვავებულ სააღრიცხვო პოლიტიკას. უნივერსიტეტების მიერ სწავლის გადასახადების აღრიცხვისას გამოვლინდა ნაკლოვანებები, კერძოდ:

³ სამინისტროს 2023 წლის 29 დეკემბრის №1 23 0001780988 ბრძანებით დამტკიცებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიხედვით, შექმნილია დანართი ფორმები, რაც ითვალისწინებს დებიტორული/კრედიტორული დავალიანებების, შემოსავლებისა და ხარჯების ელიმინირების საკითხებს.

- **ტექნიკურ უნივერსიტეტს** 2023 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული აქვს სწავლის გადასახადიდან წარმოქმნილი შემოსავლები, სულ – 39 380 592 ლარი, მოთხოვნები – 8 716 060 ლარი და ვალდებულებები – 2 649 557 ლარი. უნივერსიტეტმა მთავრობის დადგენილების⁴ ფარგლებში 2023 წელს საექვო (უიმედო) მოთხოვნების/გაუფასურების/ღირებულების შემცირების ხარჯებში ასახა 2 471 330 ლარი. აღსანიშნავია რომ უნივერსიტეტმა 2023 წელს სწავლის გადასახადიდან წარმოქმნილი თანხების აღრიცხვისთვის ჩაატარა მნიშვნელოვანი სამუშაოები, რომლებიც არ არის დასრულებული. წინა წლებში წარმოქმნილი კრედიტორული დავალიანებები – 2 569 936 ლარი არის უცვლელი, რომლის შესაბამისი პიროვნული სია არ არის წარმოდგენილი. უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილია 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სწავლის გადასახადიდან წარმოქმნილი მოთხოვნების შესაბამისი სია, რომლის ჯამიც შეადგენს 3 662 078 ლარს. უნივერსიტეტის მოხსენებითი ბარათის მიხედვით, 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დავალიანება შეადგენდა 11 187 390 ლარს, ბუღალტრულად აღრიცხული იყო 1 930 065 ლარი, რისთვისაც საჭირო გახდა საწყისი ნაშთის კორექტირება 9 257 325 ლარით. არ არის წარმოდგენილი კორექტირებული საწყისი ნაშთის და მიმდინარე შემოსავლების დარიცხვების ინდივიდუალური სია. ამასთანავე, უნივერსიტეტს არ ჰქონდა დასრულებული მთავრობის დადგენილების შესაბამისად დავალიანებების ჩამოწერისა და აღრიცხული დავალიანებების სისწორის შემოწმების პროცედურები.
- **სოხუმის უნივერსიტეტს** 2023 წელს ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული აქვს სწავლის გადასახადიდან წარმოქმნილი მოთხოვნები – 853 073 ლარი, შემოსავლები – 5 516 994 ლარი, ხოლო ვალდებულებები არ ირიცხება. უნივერსიტეტის განმარტებით, სწავლის ქირის დარიცხვა ხდება სტუდენტთა რეგისტრაციის სამსახურიდან მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე, რომელიც სწავლის ქირის დარიცხვას ახორციელებს გასული წლის 1 სექტემბრიდან მიმდინარე წლის 1 სექტემბრამდე პერიოდზე. იმის გამო, რომ ვერ ხერხდება სტუდენტთა ბაზიდან ძველი თარიღით ზუსტი და სრული ინფორმაციის ამოღება, ვერ განხორციელდა სტუდენტების შესაბამისად დარიცხული შემოსავლის, დებიტორული და კრედიტორული დავალიანებების დაანგარიშება/გადათვლა. ამასთანავე, მოწოდებული ინფორმაციით, უნივერსიტეტს 2023 წელს საქართველოს მთავრობის დადგენილების⁵ ფარგლებში ჩამოწერილი აქვს 556 898 ლარი, რომელიც არ არის ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული.
- **გორის უნივერსიტეტს** 2023 წელს ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული აქვს სწავლის გადასახადიდან წარმოქმნილი მოთხოვნები – 711 632 ლარი, ვალდებულებები – 67 213 ლარი, შემოსავლები – 4 531 228 ლარი და საექვო (უიმედო) მოთხოვნების/გაუფასურების/ღირებულების

⁴ საქართველოს მთავრობის №378 დადგენილება „საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ფინანსური დავალიანების მქონე სტატუსშეჩერებული სტუდენტების სწავლის ხელშეწყობის მიზნით გასატარებელი ღონისძიებების შესახებ“.

⁵ საქართველოს მთავრობის №378 დადგენილება „საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ფინანსური დავალიანების მქონე სტატუსშეჩერებული სტუდენტების სწავლის ხელშეწყობის მიზნით გასატარებელი ღონისძიებების შესახებ“.

	შემცირების ხარჯები – 218 529 ლარი. გამოვლინდა შემთხვევები, სადაც უნივერსიტეტს საწყისი ნაშთი აქვს არასწორი. უნივერსიტეტის განმარტებით, ჩამოწერილი და დავალიანების თანხები შეიცავს უზუსტობებს, რომლებიც მიმდინარე პერიოდში მუშავდება/სწორდება. • სსიპ – შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტს 2023 წელს ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული აქვს სწავლის გადასახადიდან წარმოქმნილი მოთხოვნები – 534 457 ლარი. უნივერსიტეტი ასრულებს მოთხოვნების/ვალდებულებების ურთიერთგადაფარვას, რაც არ შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.⁶
მიზეზი	აღრიცხვის არასათანადო, არაერთგვაროვანი პრაქტიკა და კონტროლის სისუსტე.
გავლენა	შედეგად, ჩვენ ვერ მოვიპოვეთ რწმუნება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარდგენილ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული სწავლის გადასახადიდან წარმოქმნილი შემოსავლების, ხარჯების, ვალდებულებების და მოთხოვნების საბოლოო ნაშთის არსებობაზე, წარმომობაზე, სისრულესა და სისწორეზე.
რეკომენდაცია	აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით სამინისტროს 2022 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ფარგლებში გაიცა რეკომენდაცია, რომლის შესრულების სტატუსია: მიმდინარე (იხ. თავი 3). წინა პერიოდში გაცემული რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობა: რეკომენდაცია №6.
კომპონენტ(ებ)ი, რომელზეც გაიცა რეკომენდაცია შესასრულებლად	საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს ცენტრალური აპარატი.

1.4 ძირითადი აქტივები და სხვა გრძელვადიანი არაფინანსური აქტივები

აუდიტის მიგნება	ტექნიკურ უნივერსიტეტს 2023 წელს არ დაუსრულებია კანონმდებლობით გათვალისწინებული ინვენტარიზაცია. ამასთანავე, შენობა-ნაგებობების საინვენტარიზაციო კომისიის ოქმის მიხედვით, საჯარო რეესტრის ამონაწერებში ზოგიერთ შემთხვევაში არ ფიქსირდება რეალურად არსებული შენობა-ნაგებობები; საცნობარო ანგარიშების ინვენტარიზაცია არ არის დასრულებული, რის გამოც 2022 წელს ინვენტარიზაციის აქტით გამოვლენილი აქტივების ჩამოწერები არ იყო სრულად ასახული. სამინისტროს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში აღრიცხულია გასულ წლებში ლიკვიდირებული პროფესიული სასწავლებლებისა და კოლეჯების, სამეცნიერო ცენტრებისა და ინსტიტუტების ბალანსზე აღრიცხული აქტივების ნაშთები, სულ – 513 224 ლარის⁷ ოდენობით. ასახული ნაშთების აქტივად აღიარების კრიტერიუმებთან შესაბამისობის დადგენისა და შემდგომი ღონისძიებების⁸ გატარების მიზნით სამინისტროში შექმნილია სამუშაო ჯგუფი და მოძიებულ მასალებზე დაყრდნობით შედეგები პერიოდულად აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში.
------------------------	--

⁶ სსბასს 1, მუხლი 48.

⁷ მოკლევადიანი - 35 909 ლარი და გრძელვადიანი - 477 315 ლარი.

⁸ ჩამოწერის, კორექტირების და ა.შ.

	სააგენტოს აღრიცხული აქვს საგანმანათლებლო დაწესებულებების სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოები, საიდანაც 5 823 439 ლარის ნაშთი უცვლელი იყო 2022-2023 წლებში. აუდიტის ობიექტის განმარტებით, აღნიშნული თანხის სამუშაოები დასრულებულია, თუმცა ჯერ ისევ არ არის გადაცემული საგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის.⁹ დამატებით 3 421 513 ლარის აქტივს საგანმანათლებლო დაწესებულებები 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არ იბარებდნენ¹⁰ და შესაბამისად, შეფერხებული იყო გადაცემის პროცესი. აღრიცხვის ინსტრუქციის მიხედვით, სტანდარტში¹¹ მოცემულია ინფორმაცია გაუფასურების ინდიკატორების შესახებ; ორგანიზაციას 2023 წელს არ განუხილავს გაუფასურების ინდიკატორების არსებობის საკითხი.
მიზეზი	ინვენტარიზაციის არასრულყოფილად განხორციელება; აქტივების არასათანადო კონტროლი.
გავლენა	„ძირითადი აქტივების“ და „სხვა გრძელვადიანი არაფინანსური აქტივების“ მუხლებში უზუსტობები.
რეკომენდაცია	აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით სამინისტროს 2022 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ფარგლებში გაიცა რეკომენდაცია, რომლის შესრულების სტატუსია: ნაწილობრივ შესრულებული (იხ. თავი 3.). წინა პერიოდში გაცემული რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობა: რეკომენდაცია №7.
კომპონენტ(ებ)ი, რომელზეც გაიცა რეკომენდაცია შესასრულებლად	ტექნიკური უნივერსიტეტი, სააგენტო და საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს ცენტრალური აპარატი.

1.5 არამატერიალური აქტივები

აუდიტის მიგნება	არამატერიალური აქტივი არის იდენტიფიცირებადი არამონეტარული აქტივი ფიზიკური ფორმის გარეშე.¹² ერთეულმა უნდა შეაფასოს, განსაზღვრულია თუ განუსაზღვრელი არამატერიალური აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა.¹³ განუსაზღვრელი სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე აქტივები არ უნდა იქნეს ამორტიზებული;¹⁴ თუმცა ინსტრუქციის მოთხოვნების შესაბამისად, ერთეულმა განმარტებით შენიშვნებში უნდა ასახოს განუსაზღვრელი სასარგებლო მომსახურების ვადის მქონედ შეფასებული არამატერიალური აქტივის საბალანსო ღირებულება და მიზეზები, რომლებიც ადასტურებს ამ აქტივის განუსაზღვრელი სასარგებლო მომსახურების ვადის შეფასებას.¹⁵ ამასთანავე, სავალდებულოა ყოველწლიურად გაუფასურების ტესტირების
------------------------	---

⁹ საიდანაც 1 520 048 ლარის არაფინანსური აქტივების გაშიფვრას სააგენტო ვერ ახერხებს.

¹⁰ შიდა აუდიტისა და მონიტორინგის სამსახურის განმარტებით, მათ მიერ სამინისტროსა და ზემოაღნიშნული საგანმანათლებლო დაწესებულებების ხელმძღვანელებთან განხორციელდა კომუნიკაცია, რომლის შედეგად, 6 შემთხვევაში გაფორმდა მიღება-ჩაბარების აქტი, დარჩენილ შემთხვევებზე კი, მუშაობა დღესაც მიმდინარეობს. დამატებით, შერჩეული საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით, სამუშაოების ჩაბარებაზე მათი უარი განპირობებულია მომწოდებელი კომპანიების მიერ რეაბილიტაციის არაჯეროვანი შესრულებულით.

¹¹ სსბასს 21, მუხლი 27 და სსბასს 26, მუხლი 25.

¹² სსბასს 31, მუხლი 16.

¹³ სსბასს 31, მუხლი 87.

¹⁴ სსბასს 31, მუხლი 106.

¹⁵ სსბასს 31, მუხლი 121.

ჩატარება¹⁶ და განუსაზღვრელი ვადის მქონე არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადა ყველა პერიოდში უნდა გადაისინჯოს, რათა განისაზღვროს, კვლავაც ადასტურებს თუ არა მოვლენები და პირობები, რომ არამატერიალურ აქტივს განუსაზღვრელი სასარგებლო მომსახურების ვადა აქვს.¹⁷

სააგენტოს 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით აღრიცხული აქვს 2010-2017 წლებში შესყიდული 881 627 ლარის არამატერიალური აქტივები, რომლებიც არის საპროექტო, სახარჯთაღრიცხვო, გეოლოგიური და გეოდეზიური კვლევების დოკუმენტაცია. აღნიშნულიდან, 654 600 ლარის აქტივისათვის ორგანიზაციას არ დაურიცხავს ამორტიზაცია და არ შეუფასებია, აკმაყოფილებენ თუ არა არამატერიალურ აქტივებად კლასიფიკაციის კრიტერიუმებს. ორგანიზაციის განმარტებით, აღრიცხული პროექტების ფარგლებში დასრულებულია სამშენებლო სამუშაოები და მიმდინარეობს ნაშთების გადაცემა. დარჩენილი 227 027 ლარის აქტივები იდენტიფიცირებულია დანაკლისად ინვენტარიზაციის ფარგლებში.

მიზეზი

კონტროლის სისუსტე, აღრიცხვის არასათანადო პრაქტიკა, სტანდარტის მოთხოვნების შეუსრულებლობა.

გავლენა

შედეგად, ჩვენ ვერ მოვიპოვეთ რწმუნება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარდგენილ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში 881 627 ლარის „არამატერიალური აქტივების“ საბოლოო ნაშთის არსებობაზე, უფლებებსა და ვალდებულებებზე, სისწორესა და კლასიფიკაციაზე.

რეკომენდაცია

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით სამინისტროს 2022 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ფარგლებში გაიცა რეკომენდაცია, რომლის შესრულების სტატუსია: მიმდინარე (იხ. თავი 3.). წინა პერიოდში გაცემული რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობა: რეკომენდაცია №10.

**კომპონენტ(ებ)ი, რომელზეც
გაიცა რეკომენდაცია
შესასრულებლად**

სააგენტო.

¹⁶ სსზასს 31, მუხლი 107.

¹⁷ სსზასს 31, მუხლი 108.

2. ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებული კორექტირებები

2.1 მოთხოვნები და ვალდებულებები

აუდიტის მიგნება

ტექნიკურ უნივერსიტეტს:

- 2017 წლის 20 ივლისს გაფორმებული აქვს საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან სამხმარივი ქვესასესხო ხელშეკრულება 7 000 000 ევროზე. ხელშეკრულების შესაბამისად, ფინანსთა სამინისტრო საკრედიტო ხელშეკრულების პირობების გათვალისწინებით გადაასესხებს სტუ-ს საკრედიტო ხელშეკრულებით საქართველოსათვის გამოყოფილ სესხს.¹⁸ ხელშეკრულების მიხედვით, გადასახდელები ტექნიკურმა უნივერსიტეტმა უნდა ჩარიცხოს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ მითითებულ ანგარიშზე¹⁹ და ფინანსურ დოკუმენტაციაში სრულად უნდა ასახოს ქვესესხის აღებასთან დაკავშირებული ვალდებულებები.²⁰ ამასთანავე, საქართველოს მთავრობის №824²¹ და №693 განკარგულებების²² შესაბამისად, მოხდა სესხის გადავადება საურავების დარიცხვის გარეშე. სასესხო ხელშეკრულებით განსაზღვრული თანხა არ არის ასახული და შემცირებულია ვალდებულების საბოლოო ნაშთი, სულ – 20 827 100 ლარით.
- სს „საქართველოს ბანკისგან“ ყოველწლიურად მისაღები შემოსავალი – 236 000 ლარის ნაცვლად, აღიარებული აქვს 8 556 ლარი. სხვაობის თანხით – 227 444 ლარით გაზრდილია ვალდებულების საბოლოო ნაშთი.
- არ აქვს აღრიცხული სასამართლო გადაწყვეტილებით მომწოდებელი ორგანიზაციისთვის დაკისრებული დავალიანება, შედეგად, შემცირებულია მოთხოვნების საბოლოო ნაშთი, სულ – 889 875 ლარით.
- აღრიცხული აქვს ქონების გადასახადიდან ვალდებულება – 1 234 243 ლარი და მოგების გადასახადიდან მოთხოვნები – 355 321 ლარი, ორგანიზაციის განმარტებით, მოცემული წარმოადგენს წინა წლებში წარმოქმნილ დავალიანებებს, რომლებიც შესწავლილი იქნება მიმდინარე ინვენტარიზაციის დროს. შედეგად, ჩვენ ვერ მოვიპოვეთ რწმუნება მოცემული თანხების სისწორესა და არსებობაზე.
- მოკლევადიანი (მიმდინარე) არაფულადი მოთხოვნები არაფინანსური აქტივების დანაკლისით – 1-15-5000 ანგარიშზე აღრიცხული 153 168 ლარის დავალიანებებზე რეაგირების დოკუმენტაცია არ წარმოდგენია. შედეგად, ვერ მოვიპოვეთ რწმუნება 153 168 ლარის სისწორესა და არსებობაზე.

¹⁸ ხელშეკრულების მუხლი 2.

¹⁹ ხელშეკრულების მუხლი 3, პუნქტი 6.

²⁰ ხელშეკრულების მუხლი 4, პუნქტი 3³.

²¹ 2023 წლის 1 მაისი.

²² 2024 წლის 20 მაისი.

სააგენტოს:

- პორტაბელური კომპიუტერების შესყიდვის შედეგად წარმოქმნილი ვალდებულება არ აქვს ასახული. ვალდებულების აღიარების ნაცვლად, შემცირებული აქვს მოთხოვნა. შედეგად, შემცირებულია მოთხოვნა-ვალდებულების საბოლოო ნაშთები, სულ – 6 127 192 ლარით.²³
- შესრულებული სამშენებლო სამუშაოები შეცდომით აქვს აღრიცხული. შედეგად, გაზრდილია მოთხოვნა-ვალდებულების საბოლოო ნაშთი, შესაბამისად, 3 000 და 1 334 768 ლარით.
- არასწორად აქვს აღრიცხული მომწოდებელთან სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოების ფარგლებში წარმოქმნილი მოთხოვნა და ვალდებულება. შედეგად, გაზრდილია მოთხოვნა-ვალდებულების საბოლოო ნაშთები, შესაბამისად, 363 805 და 219 453 ლარით.
- არ აქვს აღრიცხული გამანაწილებელ ქსელთან მიერთების სამუშაო. შედეგად, შემცირებულია ვალდებულებების და გაზრდილია მოთხოვნების საბოლოო ნაშთი 200 000 ლარით.
- შეცდომით ორჯერ აქვს აღრიცხული მოსწავლეების ტრანსპორტით უზრუნველყოფის პროგრამის ფარგლებში გაწეული მომსახურება. შედეგად, გაზრდილია ვალდებულების საბოლოო ნაშთი, სულ – 514 900 ლარით.
- შეცდომით აქვს აღრიცხული მოსწავლეების ტრანსპორტით უზრუნველყოფის პროგრამის ფარგლებში ერთ-ერთი მუნიციპალიტეტისათვის გაწეული მომსახურების ხარჯი. შედეგად, გაზრდილია ვალდებულების საბოლოო ნაშთი, სულ – 232 665 ლარით.
- არ აქვს შემცირებული 2023 წლამდე დაბრუნებული საავანსო და ხელშეკრულების უზრუნველყოფის გარანტიების თანხა. შედეგად, გაზრდილია მოთხოვნების საბოლოო ნაშთი – 314 309 ლარით.
- აღრიცხული აქვს 2013-2016 წლებში მომწოდებლებისათვის წინასწარი ანგარიშსწორებით გადარიცხული 1 152 141 ლარი, რომელთა დაბრუნების ან სამუშაოების შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტაცია არ არის წარმოდგენილი.

კომპონენტ(ებ)ი, სადაც
გამოვლინდა დარღვევა

ტექნიკური უნივერსიტეტი და სააგენტო.

2.2 ძირითადი აქტივები

აუდიტის მიგნება

სსიპ – ქალაქ თბილისის 138-ე საჯარო სკოლას, სააგენტოსგან მიღებული სამშენებლო/სარეაბილიტაციო სამუშაოები რეტროსპექტული შესწორებით აღრიცხული აქვს, როგორც პერიოდის ხარჯი, სულ – 1 210 091 ლარი. *შედეგად, შემცირებულია ძირითადი აქტივების საბოლოო ნაშთი.*

სსიპ – ქალაქ თბილისის 102-ე საჯარო სკოლას სააგენტოსგან მიღებული სამშენებლო/სარეაბილიტაციო სამუშაოები რეტროსპექტული შესწორებით აღრიცხული აქვს, როგორც პერიოდის ხარჯი, სულ – 1 474 511 ლარი, სკოლამ ვერ წარმოადგინა ინფორმაცია, თუ რატომ და/ან რა ტიპის სამუშაოები მიიჩნია

²³ სახელმწიფო შესყიდვით შეძენილია პორტაბელური კომპიუტერები საქართველოს ადამიანური კაპიტალის პროგრამის ფარგლებში.

პერიოდის ხარჯებად. *შედეგად, ჩვენ ვერ მოვიპოვეთ რწმუნება ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული „ძირითადი აქტივების“ სისრულის შესახებ.*

ტექნიკურ უნივერსიტეტს:

- ასახული აქვს 25 242 425 ლარის ისტორიული ღირებულების და 13 401 062 ლარის საბოლოო საბალანსო ღირებულების მქონე ძირითადი აქტივები, რომლებიც 2018 წლიდან დასაწყობებულია, არ შესულა მუშა მდგომარეობაში, თუმცა ერიცხება ცვეთა.
- მომწოდებელ ორგანიზაციასთან გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტების მიხედვით გაზრდილი აქვს აქტივის ღირებულება 3 409 446 ლარით, მაშინ როცა მოცემული სამუშაოების შედეგად ექსპერტიზის დასკვნით და სასამართლო გადაწყვეტილებით შესრულებული სამუშაო შეადგენდა 866 801 ლარით ნაკლებს, შედეგად გაზრდილია აქტივის საბოლოო ნაშთი.

კომპონენტ(ებ)ი, სადაც
გამოვლინდა დარღვევა

სსიპ – ქალაქ თბილისის 138-ე საჯარო სკოლა, სსიპ – ქალაქ თბილისის 102-ე საჯარო სკოლა და ტექნიკური უნივერსიტეტი.

2.3 სხვა გრძელვადიანი არაფინანსური აქტივები

აუდიტის მიგნება

სააგენტოს:

- შეცდომით აქვს აღრიცხული სამშენებლო სამუშაოები. შედეგად, გაზრდილია „სხვა გრძელვადიანი არაფინანსური აქტივების“ საბოლოო ნაშთი 1 331 768 ლარით.
- არ აქვს აღრიცხული გამანაწილებელ ქსელთან მიერთების სამუშაო. შედეგად, შემცირებულია „სხვა გრძელვადიანი არაფინანსური აქტივების“ საბოლოო ნაშთი 400 000 ლარით.

კომპონენტ(ებ)ი, სადაც
გამოვლინდა დარღვევა

სააგენტო.

2.4 შემოსავალი და ხარჯი

აუდიტის მიგნება

ტექნიკურ უნივერსიტეტს:

- სს „საქართველოს ბანკისგან“ ყოველწლიურად მისაღები შემოსავალი – 236 000 ლარის ნაცვლად, აღიარებული აქვს 8 556 ლარი. *შედეგად, შემცირებულია შემოსავლები გაცვლითი ოპერაციებიდან 227 444 ლარით.*
- 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული აქვს 13 401 062 ლარის ძირითადი აქტივები, რომლებიც 2018 წლიდან დასაწყობებულია, არ შესულა მუშა მდგომარეობაში და არ გამოიყენება, თუმცა დარიცხული აქვს ცვეთა. *შედეგად, მიმდინარე პერიოდის ცვეთის ხარჯი გაზრდილია 2 294 766 ლარით.²⁴*
- რეტროსპექტული შესწორებით შეცდომით აქვს დაკორექტირებული ქონების გადასახადი. *შედეგად, შემცირებული აქვს გარე ტრანსფერები და სხვა საოპერაციო ხარჯები – 318 376 ლარით.*

კომპონენტ(ებ)ი, სადაც
გამოვლინდა დარღვევა

ტექნიკური უნივერსიტეტი.

²⁴ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 12 თებერვლის №289 ბრძანება, მუხლი 4.

აუდიტის მიგნება**სოხუმის უნივერსიტეტს:**

- არ აქვს აღრიცხული მიღებული და გასული მარაგების რაოდენობა და ერთეულის ღირებულება, შესაბამისად, ვერ დგინდება, რომელი მეთოდი გამოიყენება მარაგების აღრიცხვისათვის.²⁵
- „არამატერიალური აქტივების“ ნაწილისთვის არ აქვს დარიცხული ამორტიზაცია, მათ შორის არის ისეთი არამატერიალური აქტივები, როგორებიცაა, აკრედიტაცია/ავტორიზაცია,²⁶ ასევე საბოლოო ნაშთი მოიცავს ისეთ აქტივებს, რომლებიც არ გამოიყენება. მოცემული აქტივების გაუფასურების ინდიკატორების არსებობის შესახებ არ არის ინფორმაცია ასახული ინვენტარიზაციის აქტში.
- ყველა ძირითადი აქტივებისთვის არ აქვს მინიჭებული საინვენტარო ნომერი. ნაწილ ძირითად აქტივებზე არ არის სწორი 2023 წლის ცვეთის ხარჯი. უნივერსიტეტმა, ბუღალტრული პროგრამის წარსულში დაზიანების გამო, ვერ წარმოადგინა ინფორმაცია დაგროვილი ცვეთის დაანგარიშების შესახებ.

სსიპ – ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯი ბუღალტრული აღრიცხვისას არასწორად აწყვილებს მოკორესპონდენტო ანგარიშებს, რაც საშუალებას არ იძლევა ბუღალტრული გატარებები იყოს სრული.²⁷ ასევე კოლეჯმა ვერ წარმოადგინა 2023 წელს მოქმედი საწვავის ლიმიტის ბრძანებები.

სსიპ – კოლეჯ „აისს“:

- მატერიალური მარაგების ღირებულების დათვლის მეთოდი რიგ შემთხვევაში გაურკვეველია. ობიექტის განმარტებით, მარაგთა გასვლები საბუღალტრო მონაცემებში ფიქსირდება 30 და 31 დეკემბერს ჯამურად, თუმცა აღნიშნული გატარებები მოიცავს წლის განმავლობაში თითოეული ანგარიშისთვის მრავალჯერად გასვლებს.²⁸
- 2023 წელს მიღებული აქტივებისთვის, ნაცვლად თვეების პროპორციისა, დარიცხულია სრული წლის შესაბამისი ცვეთა.²⁹

ა(ა)იპ – კოლეჯ „ჰორიზონტს“:

- ბუღალტრული გატარებები წარმოებულია არასრულად, რიგ შემთხვევაში გამოტოვებულია მოთხოვნა-ვალდებულების ანგარიშებზე ბრუნვა.³⁰
- ცვეთის ხარჯებში ფიქსირდება უზუსტობები, ასევე 2023 წელს მიღებული აქტივებისთვის, ნაცვლად თვეების პროპორციისა, დარიცხულია მთელი წლის შესაბამისი ცვეთა.³¹

სსიპ – კოლეჯ „მოდუსს“ ასახული 136 627 ლარის შემოსავლებისა და 136 622 ლარის ხარჯების აღიარების ოპერაციებთან დაკავშირებით ინფორმაცია/დოკუმენტაცია არ წარმოუდგენია.

²⁵ სსბასს 12, მუხლი 37.

²⁶ სსბასს 31, მუხლი 106.

²⁷ აღრიცხვის ინსტრუქცია, მუხლი 5.

²⁸ სსბასს 12, მუხლი 37.

²⁹ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 12 თებერვლის №289 ბრძანება, მუხლი 4, პუნქტი 3.

³⁰ აღრიცხვის ინსტრუქცია, მუხლი 5.

³¹ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 12 თებერვლის №289 ბრძანება, მუხლი 4, პუნქტი 3.

კომპონენტ(ებ)ი, სადაც
გამოვლინდა დარღვევა

სოხუმის უნივერსიტეტი, სსიპ – ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯი,
სსიპ – კოლეჯი „აისი“, ა(ა)იპ – კოლეჯი „ჰორიზონტი“ და სსიპ – კოლეჯი
„მოდუსი“.

2.6 ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

აუდიტის მიგნება

სააგენტოს:

- გაცემული ავანსის ნაცვლად აღრიცხული აქვს ვალდებულება. შედეგად, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში არასწორადაა კლასიფიცირებული მოთხოვნებისა და ვალდებულებების ზრდა და კლება, სულ – 6 291 890 ლარი.
- ორგანიზაციას საცნობარო მუხლში – „სრულად გაცვეთილი/ამორტიზებული აქტივები ექსპლოატაციაში“ ასახული აქვს 387 363 ლარი, რომელიც 2017 წლიდან ისტორიულად მოჰყვება და არ ფლობს ინფორმაციას მისი შინაარსის შესახებ.

ტექნიკურ უნივერსიტეტში სხვაობები ფიქსირდება პასუხსაგებ შენახვაზე მიღებულ აქტივებს და სრულად გაცვეთილი/ამორტიზებული აქტივები ექსპლოატაციაში საცნობარო ანგარიშების რეესტრებსა და ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ საწყის ნაშთებს შორის, შესაბამისად, 314 121 ლარი და 467 752 ლარი. უნივერსიტეტის განმარტებით, საცნობარო ანგარიშებზე სხვაობის მოძიებისთვის არ არსებობდა საკმარისი დროითი რესურსი;

სოხუმის უნივერსიტეტს ინვენტარიზაციის შემაჯამებელი ოქმის მიხედვით გამოვლენილი ბალანსგარეშე ანგარიშზე ასახული აქტივები, სულ – 800 933 ლარი, არ აქვს ასახული ფინანსური ანგარიშგების საცნობარო ანგარიშებში. აღნიშნული აქტივებიდან ინვენტარიზაციის აქტით – 147 002 ლარის აქტივი ჩამოსაწერია.

სსიპ – კოლეჯ „მოდუსს“ აღრიცხული აქვს სააგენტოსგან 583 064 ლარის მიღებული შემოსავლები, მოცემული ასახულია როგორც შემოსავლები გაცვლითი ოპერაციებიდან, ნაცვლად შემოსავლები გრანტების მუხლის.

კომპონენტ(ებ)ი, სადაც
გამოვლინდა დარღვევა

სააგენტო, ტექნიკური უნივერსიტეტი, სოხუმის უნივერსიტეტი და სსიპ – კოლეჯი „მოდუსი“.

3. წინა პერიოდში გაცემული რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობა

რეკომენდაცია №1	სოხუმის და გორის უნივერსიტეტების ხელმძღვანელობამ ფინანსური ანგარიშგების სამართლიანი წარდგენის მიზნით შეარჩიოს და დანერგოს აღრიცხვის ისეთი სისტემა, სადაც უზრუნველყოფილი იქნება განხორციელებული ოპერაციების საბუღალტრო რეგისტრებში სრულად და დროულად ასახვა. ამასთანავე, შემუშავდეს და დაინერგოს კონტროლის ისეთი მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს ოპერაციების ამსახველი მტკიცებულებითი ბაზის საიმედოობას და სისრულეს.
რეკომენდაციის შესრულების სტატუსი	ნაწილობრივ შესრულებული.
რეკომენდაცია №2	სსიპ – კოლეჯი „აისის“ ხელმძღვანელობამ ფინანსური ანგარიშგების სამართლიანი წარდგენის მიზნით შეარჩიოს და დანერგოს აღრიცხვის ისეთი სისტემა, სადაც უზრუნველყოფილი იქნება განხორციელებული ოპერაციების საბუღალტრო რეგისტრებში სრულად და დროულად ასახვა. ამასთანავე, აუდიტის პროცესში შერჩეულ აქტივებზე ჩატარებული დათვალიერებისას/ინვენტარიზაციისას გამოვლენილ სხვაობებზე განხორციელოს შესაბამისი რეაგირება.
რეკომენდაციის შესრულების სტატუსი	ნაწილობრივ შესრულებული.
რეკომენდაცია №3	ფინანსური ანგარიშგების სამართლიანი წარდგენის მიზნით ხელმძღვანელობამ შეარჩიოს და დანერგოს აღრიცხვის ისეთი სისტემა, სადაც უზრუნველყოფილი იქნება განხორციელებული ოპერაციების საბუღალტრო რეგისტრებში სრულად და დროულად ასახვა. ამასთანავე, შემუშავდეს და დაინერგოს კონტროლის ისეთი მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს ოპერაციების ამსახველი მტკიცებულებითი ბაზის საიმედოობას და სისრულეს.
რეკომენდაციის შესრულების სტატუსი	ნაწილობრივ შესრულებული.
რეკომენდაცია №4	ფინანსური ანგარიშგების სამართლიანი წარდგენის მიზნით შემუშავდეს და დაინერგოს ისეთი კონტროლის მექანიზმები, რომლებიც კონსოლიდირებული ანგარიშგების მომზადებისას უზრუნველყოფს შიდაჯგუფური ოპერაციების შედარებას და ელიმინირებას (გამორიცხვას), მათ შორის, საჯარო სკოლების დონეზე; ასევე სამინისტრომ განიხილოს იმ ერთეულების კონსოლიდაციის საკითხი, რომლებიც არ აკმაყოფილებენ კონსოლიდაციას დაქვემდებარებული ერთეულების კრიტერიუმებს, შეიმუშაოს და დანერგოს შესაბამისი მექანიზმები გადარიცხული თანხების კონტროლისთვის.
რეკომენდაციის შესრულების სტატუსი	ნაწილობრივ შესრულებული.
რეკომენდაცია №5	ფინანსური ანგარიშგების სამართლიანი წარდგენის მიზნით სააგენტომ შეიმუშაოს პოლიტიკა, რომლითაც გაიწერება ხარჯის დამმოწმებელი მხარე და დანერგოს შესაბამისი კონტროლის მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს გადარიცხული და ათვისებული თანხების შესაბამისობისა და მიზნობრიობის დადასტურებას.
რეკომენდაციის შესრულების სტატუსი	მიმდინარე.

რეკომენდაცია №6	ფინანსური ანგარიშგების სამართლიანი წარდგენის მიზნით ხელმძღვანელობამ შეარჩიოს და დანერგოს აღრიცხვის ისეთი პოლიტიკა, რომლითაც შესაძლებელი იქნება სტუდენტების სწავლის საფასურის მიხედვით განხორციელებული ოპერაციების (დარიცხვა, გადახდა და ა.შ.), აგრეთვე უცხოური ვალუტის ფარგლებში წარმოქმნილი დავალიანებებისა და შემოსავლების საბუღალტრო რეგისტრებში სრული, დროული და ზუსტი ასახვა.
რეკომენდაციის შესრულების სტატუსი	მიმდინარე.
რეკომენდაცია №7	ფინანსური ანგარიშგების სამართლიანი წარდგენისა და კონტროლის გარემოს გაუმჯობესების მიზნით ორგანიზაციებმა კანონმდებლობით გათვალისწინებული ვადებით შექმნან საინვენტარიზაციო კომისიები, უზრუნველყონ აქტივების ფაქტობრივი ნაშთების შემოწმება და ინვენტარიზაციის შედეგების ასახვა შესაბამისი წლის ფინანსურ ანგარიშგებაში.
რეკომენდაციის შესრულების სტატუსი	ნაწილობრივ შესრულებული.
რეკომენდაცია №8	ფინანსური ანგარიშგების სამართლიანი წარდგენის მიზნით მნიშვნელოვანია შემუშავდეს პოლიტიკა სასამართლო დავებთან დაკავშირებით, ჩამოყალიბდეს დროული და ფორმალიზებული კომუნიკაცია საფინანსო და იურიდიულ სამსახურებს შორის, შეფასდეს სასამართლო დავების მოსალოდნელი შედეგები და შესაბამისად აისახოს ფინანსურ ანგარიშგებაში მოთხოვნები, ვალდებულებები, პირობითი აქტივები და პირობითი ვალდებულებები.
რეკომენდაციის შესრულების სტატუსი	მიმდინარე.
რეკომენდაცია №9	კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების სამართლიანად წარდგენის მიზნით მნიშვნელოვანია სამინისტრომ შეიმუშაოს და დანერგოს ისეთი სააღრიცხვო პოლიტიკა და პროცედურები, რომლებიც ხელს შეუწყობს განსხვავებული სააღრიცხვო მიდგომების შედეგად გამოწვეული უზუსტობების მინიმუმამდე შემცირებას.
რეკომენდაციის შესრულების სტატუსი	შესრულებული.
რეკომენდაცია №10	ფინანსური ანგარიშგების სამართლიანი წარდგენის მიზნით აუცილებელია შეიქმნას სამუშაო ჯგუფი, რომელიც უზრუნველყოფს ფინანსურ ანგარიშგებაში აღრიცხული აქტივების ინვენტარიზაციას და შესწავლას, რამდენად აკმაყოფილებს აღნიშნული აქტივები არამატერიალურ აქტივებად აღიარების კრიტერიუმებს.
რეკომენდაციის შესრულების სტატუსი	მიმდინარე.
რეკომენდაცია №11	სამინისტრომ, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების სააღრიცხვო და ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული რისკების გათვალისწინებით, შეაფასოს პრობლემის სისტემურობა და უფლებამოსილების ფარგლებში შეისწავლოს კოლეჯების მიერ ზემოაღნიშნული საკითხების დადგენილებასთან შესაბამისობა და გაატაროს შესაბამისი ღონისძიებები.
რეკომენდაციის შესრულების სტატუსი	მიმდინარე.

რეკომენდაცია №12	სსიპ – თბილისის სახელმწიფო სამედიცინო და ტექნიკურმა უნივერსიტეტებმა საბიუჯეტო სახსრების რაციონალურად ხარჯვის მიზნით შეიმუშაონ ისეთი კონტროლის მექანიზმები, რომლებიც ხელს შეუწყობს ლიმიტთან შეუსაბამო შემთხვევების დროულ გამოვლენას და აღმოფხვრას.
რეკომენდაციის შესრულების სტატუსი	შესრულებული.
რეკომენდაცია №13	სააგენტომ და ტექნიკურმა უნივერსიტეტმა საბიუჯეტო სახსრების მიზნობრივად ხარჯვის უზრუნველსაყოფად კონკრეტულ პირზე საწვავი გასცენ დასაბუთებულად, კონკრეტული სამსახურებრივი საჭიროებიდან გამომდინარე და განხორციელდეს სათანადო აღრიცხვა მატერიალური ან ელექტრონული ფორმით, რომელშიც განმარტებული იქნება საწვავის გაცემის მიზნობრიობა და ოდენობა.
რეკომენდაციის შესრულების სტატუსი	ნაწილობრივ შესრულებული.

საკონტაქტო ინფორმაცია

გაცემული რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგის პროცესზე პასუხისმგებელი პირი	აუდიტორი ჯგუფის უფროსი - მარიამ ჭოლოკავა mcholokava@sao.ge
სახელმწიფო აუდიტის სამსახურის რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგის სისტემა	https://aris.sao.ge/
ვებგვერდი და სოციალური მედია	https://www.sao.ge/ https://www.budgetmonitor.ge/ka http://www.blog.sao.ge/ http://www.sai.ge/main/ https://www.linkedin.com/company/stateauditoffice/ https://www.youtube.com/user/saogeorgia https://www.facebook.com/www.sao.ge
ცხელი ხაზი	(+995 32) 243 81 81
ელფოსტის მისამართი	sao@sao.ge

სახელმწიფო აუდიტის სამსახური
ქ.თბილისი, 0144, წმ. ქეთევან დედოფლის გამზირი N96
+995 32 243 84 38

SAO.GE